პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 სექტემბერი ხუთშაბათი 1971 წელი 2 ფურ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 219 (15129)

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი 22 სექტემბერს მოსკოვიდან ბელგრადს გაემგზავრა არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად იუგოსლავიაში გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ო. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. როდიონოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაიცილეს ამხანაგებმა გ. ი. ვორონოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, თ. დ. კულაკოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ფ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ძ. ნ. დემიჩევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ს. ალექსეევმა, ნ. ტ. ფედორჩენკომ, ნ. ვ. ტალიზინმა, ნ. ა. ტიხონოვმა, ნ. ნ. ბეგიჩევმა, ნ. ა. ტალიზინმა, ა. ბ. ბეგოვატოვმა, ბ. ბ. ბეგოევმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, გ. ს. პავლოვმა, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ს. კ. ცვიგუნმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა კ. მ. ბოგოლიუბოვმა, ო. ბ. რახმანინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ტ. ლიპკოვსკი, იუგოსლავიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

(საკდესი).

სახალხო კონტროლი დიდი ძალაა

ბარმოების თვალსა და ყურს უწოდებენ ახლა სახალხო კონტროლორებს. ეს მართლაც რომ ასეა. სახალხო კონტროლის ორგანოთა მეშვეობით მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები ებმებიან წარმოების მართვაში.

პარტიის მიერ სოციალისტური დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით გაშლისა და სრულყოფისათვის დასახულმა კურსმა მკაფიო გამოხატულება მპოვა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში. ეს ორგანოები ერთმანეთს უხამებენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ კონტროლის და ეშშარიტად სახალხო ორგანოები არიან თავიანთი შემადგენლობითაც, ფორმირების წესითაც, მუშაობის ხერხებითა და მეთოდებითაც.

სახალხო კონტროლის ორგანოთა მეშვეობით მასები ახორციელებენ კონტროლის უფლებას ეკონომიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, მონაწილეობენ სახელმწიფოს საქმეთა მართვაში.

ამიტომ არის, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრუნავენ სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, მათი ძირეული რგოლების ქმედითობის ამაღლებისათვის.

ახლა ყველგან ფართო მზადება მიმდინარეობს სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისათვის. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ოქტომბერ-დეკემბერში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ. საანგარიშო საარჩევნო კრებები მოწვეულია სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფსა და საგუშაგოში, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებთან.

სახალხო კონტროლის სისტემის საფუძველს, მის მთავარ ძალას შეადგენს ჯგუფები და საგუშაგოები. ისინი ახორციელებენ კონტროლს უშუალოდ თავიანთ კოლქმეურნეობებში, ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციას სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებაში, რეზერვების გამოვლინებასა და უკეთ გამოყენებაში. მათი მონაწილეობით იქმნება ისეთი ვითარება, რომელიც გამორიცხავს უყაირათობის, შფლანგველობის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის შესაძლებლობებს.

ეშშარიტად რომ მნიშვნელოვან სამუშაოებს ახორციელებენ საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოები. ახლა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე და სხვა ორგანიზაციებში სახალხო კონტროლის 9.770 ჯგუფი, 20.294 საგუშაგო მოქმედებს, სადაც ორასოოთხმეტი ათასი აქტივისტია გაერთიანებული. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაზოგილია 32 მილიონი მანეთი, 92 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 40 ათასი ტონა სათბობი, 28 ათასი ტონა საწვავ-საცხები მასალები, 116 ტონა ფერადი ლითონები და ა. შ. კარგი მუშაობით გამოირჩევიან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, საავიაციო, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში შექმნილი ჯგუფები და საგუშაგოები. სახალხო კონტროლის ბევრი მოწინავე ჯგუფი და საგუშაგოა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სოფლის მეურნეობაში მოქმედი ჯგუფებისა და საგუშაგოების მოქნილი მუშაობის შედეგად წარმატებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

ფართო მასების აქტიური მონაწილეობა — ეს არა ხდის სახალხო კონტროლის ორგანოებს ძლიერსა და ქმედითს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი ყველა ძირეული რგოლი გამართულად, აქტიურად მუშაობდეს. მაშინ ყველგან უკეთ მოეწყობა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმება, წარმატებით გაჩაღდება ბრძოლა რეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის, უყაირათობის, შფლანგველობის, თვალსახვევის, უდისციპლინობის, საქმის გაჭიანურების და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს ცხოვრებაში.

მართლაც რომ დიდი ძალაა ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ჯგუფები და საგუშაგოები, მაგრამ ისინი ყველგან რომ აქტიურად მოქმედებდნენ, გაბედულად ილაშქრებდნენ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, აღკვეთდნენ ბიუროკრატიზმსა და ხელის გაჭიანურებას, საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა და სახალხო კონტროლის კომიტეტებმა სისტემატური და ქმედითი ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა გავუმჯობესოთ სახალხო კონტროლის საქმიანობა, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ლენინური იდეები ფართო მასების მუდმივი და ქმედითი კონტროლის შესახებ განუხრელად ხორციელდებოდეს.

ეს სახელმძღვანელო მითითებანი პარტიულ ორგანიზაციებს აკანონებს მკვეთრად გააძლიერონ ხელმძღვანელობა ჯგუფებისადმი, სწორად შეუთანხმონ მათი საქმიანობა საზოგადოებრივი კონტროლის სხვა ფორმებსა და მეთოდებს. ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებას აღწევენ იქ, სადაც სახალხო კონტროლის ჯგუფს სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, ბიუროს ან კომიტეტის წევრი.

ამიტომ არის, რომ პარტია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები მოეწყოს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობაში არიელენ ღირსეული, აქტიური, ინიციატივიანი, პატიოსანი ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, სტუდენტები, პენსიონერები, დიასახლისები, კომუნისტები და უპარტიოები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პრაქტიკული მუშაობით და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ ხალხში.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა კრებებზე ან კონფერენციებზე. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა იზრუნონ იმისათვის, რომ კრებებმა აქტიურად, საქმიანად ჩაიაროს, მათს მუშობაში მონაწილეობა მიიღონ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა. ხალხმა უნდა აირჩიოს ისეთი მებრძოლი ორგანიზატორი, ვინც მათს ნდობას, პატივისცემას, სიყვარულს იმსახურებს.

ჯგუფებსა და საგუშაგოებს თვით მშრომელები ქმნიან, ისინი მათი ორგანოები არიან და მათვე აბარებენ ანგარიშს. ამიტომ კრებების მონაწილეებმა მაღალი მოთხოვნები უნდა წაუყენონ იმათ, ვისაც მიანდეს კონტროლის განხორციელება ხალხის სახელით, ღირსეულად შეაფასონ მათი წარმატებანი, ამხილონ ნაკლოვანებანი, მისცენ საქმიანი განაწესი ჯგუფებსა და საგუშაგოებს.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნების შედეგად მუშობას შეუდგებიან მშრომელთა ახალი ფართო ფენები. მეტად მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ როგორ იმუშავებენ ისინი მომავალში, როგორ იმოქმედებს სახალხო კონტროლის ორგანოების ყველა რგოლი.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ახლანდელი არჩევნები უეჭველია ხელს შეუწყობს ძირეული ორგანოების საქმიანობის მკვეთრ აღმავლობას, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების მიმდინარეობის მაღალ დონეზე შემოწმებას, ახალ წარმატებათა მოპოვებას პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიაში ჩავიდა

ბელგრადი, 22 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. იოსიპ ბროზ ტიტოს მოწვევით დღეს იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ბელგრადს ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

მასთან ერთად ბელგრადში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ო. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. როდიონოვი.

აეროდრომი „ბელგრადი" მორთულია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ალმებით. ალისფერ ქსოვილზე წარწერილია მისასალმებელი სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევ!".

აეროდრომზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრები მ. კარდელი, მ. ტეოდორაშოვიჩი, კ. ბრანკოკოსკი, ნ. დიუდაკოვიჩი, კ. გლიგოროვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე დ. ბილეიჩი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის კონფერენციის მუდმივი ნაწილის წევრი ვ. მიჩუნოვიჩი, საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი მ. ტეპავაცი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრები, იუგოსლავიის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

შეხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპანოვი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

იუგოსლავია პიონერმა ლ. ი. ბრეჟნევს ყვავილები მიართვა.

ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს.

ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად მიესალმა შეხვედრთ. შემდეგ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და იოსიპ ბროზ ტიტო მიკროფონთან მიდიან.

ამხანაგ ბროზ ტიტოს გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!
პატივცემულო სტუმრებო!
ამხანაგებო!

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იუგოსლავიის ხალხთა სახელით და პირადად ჩემი სახელით მოგესალმოთ თქვენ, ამხანაგო ლეონიდ ბრეჟნევ, და სხვა საბჭოთა ამხანაგებს, და გითხრათ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!", გისურვოთ სასიამოვნო სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში.

თქვენი ჩამოსვლა იუგოსლავიაში მიგვანიშნა ორი ქვეყნის იმ მისწრაფების გამოხატულებად, რომ განვამტკიცოთ მეგობრობა და გავაფართოოთ თანამშრომლობა, რათა ჩვენი ორი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო სტაბილური და ნაყოფიერი გახდეს.

ყოველთვის არის საკმაოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამო დროდადრო ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ აზრები, რათა უკვე დამყარებული ურთიერთობის განმტკიცებასთან ერთად დავსახოთ პერსპექტივები და გამოვნახოთ ახალი შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის კიდევ უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნები ერთნაირად არიან დაინტერესებულნი ამით. დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი მოლაპარაკებაც ახალი წვლილი იქნება ჩვენს ორ ქვეყანას შორის ისეთი თანამშრომლობის განვითარებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობა და ურთიერთპატივისცემა.

ეს ჩვენი შეხვედრა შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზეც, რომლებიც ამძიმებენ საერთაშორისო ურთიერთობას და რომელთა გადაჭრით, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია ჩვენი ორი ქვეყანა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა მთლიანად.

ჩვენს ხალხებს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, სჭირდება მყარი მშვიდობა, რათა წარმართოთ ჩვენი შემოქმედებითი ძალები უფრო ბედნიერი მომავლის ასაშენებლად.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მაქსიმალურად დარაზმვას იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის შემდგომი გაძაბვება და სწორი გზით წარმართოთ მსოფლიო განვითარება. იუგოსლავია, როგორც მიუხრობელი და სოციალისტური ქვეყანა, აქტიურად უჭერს მხარს მშვიდობისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნების ღონისძიებებს.

პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

თუმცა თქვენი ვიზიტი იუგოსლავიაში ხანმოკლე იქნება, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ადამიანებთან შეხვედრების დროს თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ იგრძნოთ გულწრფელი მეგობრობა, რომლითაც გამსჭვალული არიან იუგოსლავიის ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, და მისწრაფება — განვითარდეს კარგი ურთიერთობა ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს შორის.

ნება მიბოძეთ დასასრულ ერთხელ კიდევ გითხრათ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!".

საპასუხო სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო ტიტო!
ამხანაგებო და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ სულითა და გულით მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი შეხვედრისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებით და ყოველ სიკეთეს გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით მძიმე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და ყველა მოქალაქეს.

სტუმართმოყვარე იუგოსლავიის მიწაწყალზე ყოველი ჩამოსვლა ჩვენთვის მუდამ სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენ მოგვეელის საუბრები მეგობრებთან, შეხვედრები მეგობარი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტებთან, მშრომელებთან.

ჩვენ ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს მოწვევით ჩამოვედით აქ, რათა განვიხილოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ეს საკითხები სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი შეეხება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის მდგომარეობასა და შემდგომ განვითარებას, მათ შორის პარტიული კავშირურთიერთობის განვითარებასაც, ზოგიერთი კი — მსოფლიო ასპარეზზე არსებულ მდგომარეობას, საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ მოვლენებს, ჩვენს ამოცანებს იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ პირველად როდი ვხვდებით ამხანაგ ტიტოსა და იუგოსლავიის სხვა ხელმძღვანელებს, და ამ შეხვედრათა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩვენი უშუალო კონტაქტები აუცილებელი და სასარგებლოა. დარწმუნებული ვართ, რომ აზრთა ახლანდელი ურთიერთგაზიარებაც ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და იუგოსლავი ხალხის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

დაე ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს ეს ძმური მეგობრობა, დაე წლითიწლობით ვითარდებოდეს ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობა სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის!

• • •

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და იოსიპ ბროზ ტიტოს სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩამოუარეს იუგოსლავ გვარდიელთა საპატიო ყარაულის მწყრივს. შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი და იოსიპ ბროზ ტიტო ჩასხდნენ მანქანაში და ქალაქისაკენ გაეშართნენ.

ათეულათასობით კაცი გამოვიდა ამ დილით ბელგრადის ქუჩებში და მოედნებზე, რომლებიც მორთული იყო სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც რუსულ და სერბიულ-ხორვატულ ენებზე ეწერა: „მეგობრული სალამი საბჭოთა კავშირის ხალხებს!". მჭუხარე ტაში და გულთბილი მისალმების შეძახილები, რომლებითაც ლ. ი. ბრეჟნევს ხვდებოდნენ იუგოსლავიის დედაქალაქის მცხოვრებნი, მკაფიოდ გამოხატავდნენ იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობასა და ძმურ გრძნობებს საბჭოთა ხალხისადმი.

ნ. კოლესოვი,
ი. ტიტოვი.

22 სექტემბერს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს მიწვევით იუგოსლავიაში არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევი და იოსიპ ბროზ ტიტო უპასუხებენ ბელგრადელთა მისალმებებზე.

სამდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საფრანგეთის ელჩი

21 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში რ. სეიდუ და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს საფრანგეთში, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებს.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

ა. ნ. კოსიგინის მომავალი ვიზიტი მაროკოში

მეფე ჰასანი II-ის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა მაროკოს სამეფოს მომდინარე წლის ოქტომბერში.

დაუცხრომლად ვეუფლებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას

სკკპ XXIV ყრილობის მასალები შეიცავენ დიდ თეორიულ სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის დაუფლება ყველა ამ ჯომუნისტისა და უპარტიოს უპირველესი მნიშვნელობის საქმეა, რომლებიც პარტიული განათლების სისტემაში მიღებულნიენრნ. ამას ერთხელ კიდევ გაუსვამს ხაზი მოსკოვის იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის თათბირის მონაწილეებმა, რომელიც 21 სექტემბერს გაიმართა კინოსაკონცერტო დარბაზ „ოქტომბერში".

მოხსენებაში, რომელიც გააკეთა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. იაროდინმა, და გამოსვლებში აღინიშნა, რომ დიდაქალაქის პარტორგანიზაციები განუწყვეტლივ მუშაობენ პარტიული და კომკავშირული სწავლების სრულყოფაზე. ამჟამად ამ სწავლებაში ჩაბმულია მილიონზე მეტი კაცი. ჩვენი პარტიის დედაქალაქის იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის თათბირი

●

გამოცდილებასთან, კომუნისტური მშენებლობის აქტიურ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით ისწავლება თეორიის საკითხები. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები. ფართოვდება კადრების ეკონომიური განათლება. მარტო შარშან ეკონომიურ თეორიას სწავლობდა მილიონამდე მოსკოველი.

პარტიული სწავლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ღრმად და კვალიფიციურად ჩასწვდნენ მეცადინეობის ორგანიზაციასა და შინაარსს, დაუცხრომლად აამაღლონ მისი ხარისხი, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დიდაქალაქის 90 ათასმა პროპაგანდისტმა, რომლებიც პარტიული განათლების სისტემაში მუშაობენ, იცადეო, რომ შეუძლიათ განუმარტონ კომუნისტებსა და უპარტიოებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, დაუკავშირონ ისინი პრაქტიკულ საქმეებს. თათბირის მონაწილეთა წინაშე დგას ამოცანა მიაღწიონ იმას, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში შეექმნას მარქსისტულ-ლენინური განათლების ამაღლებისათვის მსმენელებისადმი მაღალი მომთხოვნელობის ვითარება.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება

საქართველოს კომკავშირი — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მუდამ იყო პარტიის ერთგული თანაშემწე, მუდამ იბრძოდა ნათელი მომავლისათვის. ახალგაზრდობა, რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ემზადებიან საზეიმოდ აღნიშნონ საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე.

საქართველოს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც 22 სექტემბერს გაიმართა. იგი მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და საქართველოს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ახატაიშვილმა.

მოხსენება „საქართველოს კომკავშირი 50 წლისაა" გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ჟვანიამ.

საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ლაღიძის მოხსენების თემა იყო „საქართველოს კომკავშირის როლი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში".

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. დოლიძემ წაიკითხა მოხსენება „ბორის ძნელაძის ცხოვრება და მოღვაწეობა".

სამოცდაათიანი წლების კომკავშირელებს კომკავშირის ვეტერანთა სახელით გულთბილად მიესალმა დ. ლომაძე, ვ. მაკაჯარიანი, ხ. წვერავა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. გოგოხია. (საქდესი).

ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ - 439"

1971 წლის 21 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-439". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომლის დანიშნულებაა კოსმოსური სივრცის კვლევის განგრძობა.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲮᲣᲗᲨᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲐᲛᲓᲔ!

ზეგეგმიური ფილები

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქვის დამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, რომელსაც წლის მეორე კვარტალის შედეგებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა, წარმატებით ასრულებს 1971 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. აქ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება განადღებულია 112,6 პროცენტით, ხოლო რეალიზაციის მოცულობისა — 114,1 პროცენტით.

ქარხანაში მთავარი ყურადღება ეთმობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ახალი ტექნიკის დანერგვას. მწყობრში ჩადგა გრანიტის გასაკრიალებელი ორი ახალი მაღალი წარმადობის დაზგა, ამუშავდა ქვის ნამეცადინის გადამამუშავებელი საამქრო. ყოველივე ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 9,2 პროცენტით გაიზარდა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მეგამგზეთა შრომის ვახტი

თბილისი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს ბამბის ფაბრიკის (დირექტორი მ. ნიშნიანიძე) კოლექტივი. საწარმო შეუფერებლად ამარაგებს მომხმარებლებს საკერავი, საავეჯო და ჰიგროსკოპიული ბამბით. მებამბეებმა პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის დავალება 103 პროცენტით შეასრულეს და დავალებას 48 ათასი მანეთით გადააჭარბეს. ხოლო საექსპორტო პროდუქციის გამოშვებას 113 ათასი მანეთით გადაამეტეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით აამაღლეს, ნედლეულის ყაირათიანად ხარჯვით 26 ტონა ბამბა დაზოგეს.

ფაბრიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის დანერგვას. განვლილ პერიოდში დაგეს და დაამონტაჟეს სამი ახალი საჩეჩი მანქანა. რამაც საწარმოს წარმადობა 8 პროცენტით გაადიდა. გათვალისწინებული აქვთ წლის ბოლომდე კიდევ დადგან 9 მანქანა.

აქ მუდამ ცდილობენ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. რეკონსტრუქცია გაუკეთეს საკენტილაციო დანადგარებს, საამქროებში მ

მშვიდობის განმტკიცების გზაზე

ეხმაურებიან ყირიმის მოლაპარაკებას

ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივან ლ. ი. ბრეჟნევისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერ ვ. ბრანდტს შორის ყირიმში გამართული მოლაპარაკების შედეგებს. მსოფლიო პრესა კვლავ ფართოდ განიხილავს და განმარტავს ყირიმის შეხვედრას და მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას აფასებს როგორც ახალ დიდ წვლილს ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებაში. პროგრესული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყირიმის შეხვედრა სახავს საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ახალი მშვიდობისმოყვარული აქციების შემდგომ ფართო პერსპექტივებს.

პრავდა. გაზეთი „რუდე პრავო“ წერს, რომ ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ბრანდტის ყირიმის შეხვედრის შედეგები მოწმობენ არა მარტო ურთიერთობის გაუმჯობესებას სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, არამედ აგრეთვე ადასტურებენ ერთობ დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც ახლა ხდება ევროპაში.

ყირიმის მოლაპარაკება დიდმნიშვნელოვანი და სახარგებლო იყო მშვიდობის განმტკიცებისათვის ევროპის კონტინენტზე, წერს მეორე ჩეხოსლოვაკიური გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე“. ყირიმის შეხვედრამ, აღნიშნავს ეს გაზეთი, კვლავ დაადასტურა, რომ არ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს მოლაპარაკების მაგიდასთან.

რეალისტური და კონსტრუქციული მოლაპარაკება, როგორც ახლანდელი პრაქტიკა ცხადყოფს, ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების, თანამშრომლობის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ჯნის გამონახვას. არ შეიძლება არ გაგვახაროს იმან, რომ კაცობრიობა დაადგა ასეთ სიმედო გზას, ხაზგასმით აღნიშნავს „ლიდოვა დემოკრაციე“.

ბელგრადი. არავინ არ ეჭვობს, რომ ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ბრანდტის მოლაპარაკება დაიჩქარებს ევროპაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს, აღნიშნავს ზაგრების გაზეთი „ვიეზნიკი“. გაზეთი წერს, რომ ყირიმის შეხვედრა საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა და მასზე განიხილეს ბევრი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც შეეხება როგორც სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას, ისევე ევროპაში ვითარების განვითარებას.

პარიზი. გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ყირიმის შეხვედრის შედეგების „ხელს შეუწყობენ ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას, აგრეთვე კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას ევროპაში“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ამჟამად არის ყველა პირობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობისათვის, მათ შორის ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ და „დასავლეთ გერმანიის კანცლერის ვალდებულება დაამყაროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე“.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა, — აღნიშნავს „ლუმანიტე“. — ბოლოს მოუღებს არანორმალურ მდგომარეობას ევროპის ცენტრში და ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება დაძაბულობის შენელების საქმეში“. ასეთი ცნობა ნაუოფიერი იქნება ჩვენი ქვეყნისათვისაც“.

ბონი. ყირიმის შეხვედრის შედეგების კომენტარში გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ „საშიში უძრაობის შემდეგ, რომელიც ათეულ წლობით გრძელდებოდა, ვითარება ევროპაში ამოძრავდა“. მეორე დასავლეთგერმანული გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ წერს, რომ ყირიმის შეხვედრა „სასარგებლო და კონსტრუქციული“ იყო და ორივე მხარეს აქვს დიდი შეხვედრებლობანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებისთვის.

ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის ვოლფგანგ მიშნიკის განცხადება, რომელმაც თავისი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის გაძგეობის სხდომაზე ბონში გამოსვლის დროს თქვა, რომ ყირიმის შეხვედრამ კვლავ დაადასტურა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის დადებული ხელშეკრულებების „დადებითი ზემოქმედება“ ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირთან.

როგორც მიშნიკმა აღნიშნა, დასავლეთ გერმანიის მთავრობას რომ უფრო ადრე ეღო იმ ძალების ხმა, რომლებიც „წარსულის წარმოდგენებით ხელმძღვანელობენ“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახლაც „ცივი ომის სანგრებში იქნებოდა“.

ტოკიო. ყირიმის შეხვედრის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ორი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული — რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, არამედ ასევე პირობების შექმნისათვის, რომლებიც აუცილებელია ევროპაში საიმედო დ[illegible] მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნავს იაპონური გაზეთი „დეილი იომიური“.

ყირიმის მოლაპარაკების კომენტარებში გაზეთი „ასაჰი შინბუნ“ ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, ასევე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის დადებული ხელშეკრულებებს „დადებითი ზემოქმედება“ ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირთან. „ეს, — ნაშრომობს „ასაჰი“, — ნიშნავს, რომ ევროპაში ორ ფრონტზე ომი, — ანუ ორ ფრონტზე ომის საფრთხე, — ალბათ, ოდესღაც, ისტორიის კუნაპეტში ჩავარდა“.

მთავარი საკითხია განიარაღება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესია

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტები გ. ზიშკინი და ო. პივოვაროვი გვატყობინებენ: გუშინ აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVI სესია.

სესია 21 დეკემბრამდე გასტანს. მის დღის წესრიგშია 109 საკითხი, რომელთა შორის დიდი ადგილი უკავია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხებს. საბჭოთა კავშირის ინიციატივით დღის წესრიგში შეტანილია განიარაღების თაობაზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხი.

გუშინდელი სხდომა გახსნა გენერალური ასამბლეის XXV სესიის თავმჯდომარემ, ნორვეგიის წარმომადგენელმა ე. ჰამბრომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ უპირველეს საკითხად უნდა განიხილოს განიარაღების პრობლემა.

განვლილ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადებით მიღწევათა შორის ე. ჰამბრომ დაასახელა ოთხმხრივი შეთანხმების დადება დასავლეთ ბერლინის შესახებ, რომელიც დაახასიათა როგორც „დიდმნიშვნელოვანი წვლილი ევროპის დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში“.

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში პოზიტიური წვლილია, თქვა ე. ჰამბრომ, აგრეთვე ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ატომური იარაღის ადგმის აკრძალვის ხელშეკრულების დადება. ამასთანავე ე. ჰამბრომ თქვა, რომ დღემდე არ არის მიღწეული არავითარი პროგრესი ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგებასა და სამხრეთ აფრიკაში კოლონიური ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის სისტემის ლიკვიდაციაში.

გენერალურმა ასამბლეამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით XXVI სესიის თავმჯდომარედ აირჩია ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მალიკი.

გენერალურმა ასამბლეამ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციათა შესაბამისად დაადგინა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ბუტანი, ბაჰრეინი და კატარი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღების გამო მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბელორუსის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ე. გურინოვიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბუტანის, ბაჰრეინისა და კატარის ხალხების მიერ მრავალსაუკუნოვანი კოლონიური ბატონობის შემდეგ დამოუკიდებლობის მოპოვება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ევრეგვითარი ძალები ვერ შეაჩერებენ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომ ჩასფუშავდად განწირულია კოლონიურ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველგვარი ცდები შინაარჩენონ ხალხთა ექსპლოატაცია და ჩაგვრა.

ა. ე. გურინოვიჩმა ხაზი გაუსვა, რომ ბუტანის, ბაჰრეინისა და კატარის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინის იმ იდეის გამარჯვებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, კონფერენციებსა და თათბირებში აქტიური მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ღონე

კაირო

პრეზიდენტ სადათის გამოსვლა

22 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა გამოსცა ინსტრუქციები მინისტრთა კაბინეტის, სახალხო კრებისა და არაბთა სოციალისტური კავშირის მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ.

ამ რეორგანიზაციის საბოლოო მიზანი, აღნიშნა პრეზიდენტმა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე გამოსვლის დროს, რესპუბლიკის თავდაცვითი ძლიერების გარდა, ის არის, რომ ერთიერად გავადიდოთ ქვეყნის ეროვნული შეძლებისადა მომავალ ათწლეულში.

პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა, რომ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების განსამტკიცებლად იგი შეუდგა პრეზიდენტის აპარატის რეორგანიზაციის ახალ ეტაპს. დანიშნა რა ამ აპარატში იქვსი მრჩეველი.

ა. სადათმა გააცნო დამსწრეთ ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ღონისძიებანი, რომელთა გამოც, მისი თქმით, პროვინციათა გუბერნატორები ადგილებზე აღიჭურვებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებებით. ქვეყნის პროვინციებში უახლოეს ხანში შეიქმნება სახალხო საბჭოები, რომელთა ამოცანა იქნება დაეხმარონ გუბერნატორს მის მოვალეობათა განხორციელებაში.

პრეზიდენტმა შემდეგ აღნიშნა, რომ მართალია ეროვნული დაგეგმვის საკითხებს კაიროში გადაწყვეტენ, მაგრამ შესაბამისი გეგმები ადგილობრივმა ხელისუფლებმა უნდა განახორციელონ.

დაახასიათა რა თვითეული სამინისტროს კონკრეტული ამოცანები, პრეზიდენტმა სადათმა, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს 2 მილიონი აკრი უდაბნო მიწების ათვისება ასუანის მაღლივი კაშხალის წყალსაცავში დაგროვილი წყლის მთლიანად გამოყენების გზით.

სამინისტროების წინაშე დასახულ სხვა ამოცანებს შორის ა. სადათმა დაასახელა განათლების სისტემის სრული რეორგანიზაცია ქვეყანაში მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინებით, კულტურის გავრცელება ეგვიპტის მოსახლეობაში, 6-მილიონიანი დედაქალაქის სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრა.

ჰავანა

ბომალდების ვიზიტი

22 სექტემბერი. (საკდესი). ერთა სალუტის ოცდაერთი საპასუხო ზალპი, რომელიც საარტილერიო ბატარეამ გაისროლა ჰოლანდიის სანაპიროდან, იმის მაუწყებელი იყო, რომ ჰოლანდიაში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა წითელდროშოვანი ჩრდილოეთის ფლოტის საბჭოთა ხომალდების რაზმი.

სალუტების გაცვლის შემდეგ საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომლის შემადგენლობაში არიან საესკადრო ნაღმოსნები „ერემიაშჩი“ და „ეგეჩი“, კონტრადმირალ ე. ი. ვოლობუევის სარდლობით შევიდა როტერდამის ნაცსადგურში და შეჩერდა პარკადეს ნავმისადგომთან.

საბჭოთა ხომალდების შემოსვლის მომენტისათვის აქვე ჩაუშვა ღუზა ჰოლანდიის სამხედროსაზღვაო ძალების მე-5 ესკადრის სარდალი ე. რუსტის ალმით ფრეგატმა „ვან გალენმა“. საბჭოთა ხომალდები ჰოლანდიას ეწვევნენ იმ მეგობრული ვიზიტის პასუხად, რომელიც მიმდინარე წლის მაისში მოაწყვეს ჰოლანდიის ფრეგატებმა „ვან გალენმა“ და „ევერტსენმა“ ოდესაში.

ტოკიო

შეთანხმებას ხელი მოაწერეს

22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1971-1975 წლებისათვის სსრ კავშირსა და იაპონიას შორის საკონსულბრუნვისა და გადასახდელების შესახებ, აგრეთვე გაცვლითს წერილებს სანაპირო ვაჭრობისა და იმ შეთანხმების განხორციელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ იაპონია სსრ კავშირს მიაწვდის მოწყობილობას, მანქანებსა და მასალებს ვრანგელის უყურეში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით ამ დოკუმენტებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, იაპონიის მთავრობის დავალებით — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტაკეო ფუკუდამ.

ლონდონი

აფეთქებები ოლსტერში

22 სექტემბერი. (საკდესი). წუხელ ბელფასტის სანდი-როუდის ქუჩაზე მძლავრ აფეთქებას ახალი აფეთქებები მოჰყვა ფოლს-როუდზე—ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქის კათოლიკურ რაიონში, ლონდონდერსა და სხვა ქალაქებში. ჯვლავ გაისმის ბომბების აფეთქებებისა და სროლის ხმა ხანძრებით გაკაშკაშებულ ოლსტერის ქალაქებში.

8 კაცი სერიოზულად დაშავდა, მათ შორის არის ერთი ქალი. ინგლისის საოკუპაციო ჯარების ჯარისკაცები და პოლიცია აწარმოებენ მასობრივ ჩხრეკასა და დაპატიმრებას კათოლიკურ გეტოებში. ამის საბაბი გახდა გუშინ ბელფასტში იხვლისელი ჯარისკაცის დაღუპვა.

ოლსტერში შექმნილი დაძაბული ვითარება შეშფოთებას იწვევს უაიტჰოლში. დღეს გაიმართა მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა ჩრდილოეთ ირლანდიის მდგომარეობა. ხვალ პარლამენტში ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნით იწყება ორი დღის კამათი ამ საკითხზე.

კონსერვატორთა მთავრობა კვლავ უარს ამბობს ოლსტერის პრობლემების პოლიტიკურ გადაწყვეტაზე, ასორციელებს „მტკიცე ხელის“ თავის კურსს.

ოკუპანტთა თარეში

ნიუ-იორკი. 22 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ღაზის რაიონში გრძელდება ისრაელ ოკუპანტთა თარეში, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სთხოვს ამ საქმეში სასწრაფოდ ჩარევას.

დიდი ხანია ღაზის მოსახლეობა შეწუხებულია კომენდანტის საათის გამო, ნათქვამია დეპეშაში. ისრაელი ოკუპანტები ხოცავენ პატიმრებს, აწყობენ მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას, ქალებსა და ბავშვებს ანატიმრებენ პოლიტიკურ მძევლებად. ტერორის ამ პოლიტიკის ბოლო აქცია იყო ის, რომ ბულდოზერებით დაანგრიეს ათასობით სახლი და გარეკეს 15 ათასზე მეტი მცხოვრები.

დაბეჯითებით გთხოვთ, ნათქვამია დეპეშაში, რათა შეწყვეს უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა და ყოველგვარი იძულებითი ადგილგადასაცვლება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აიძულოს ისრაელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციათა და ამ ორგანიზაციიდან გარიცხვის მუქარით. შეწყვიტოს ტერორის წინასწარ გაგზარახული პოლიტიკა.

ჟენევა

ხანძარი ატომურ ელექტროსადგურში

22 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, 15-დან 20 მილიონამდე შვეიცარიულ ფრანკს შეადგენს ზარალი, რომელიც გამოწვა მულენბერგის ატომური ელექტროსადგურის ხანძარმა.

ხანძარი 28 ივლისს გაჩნდა და შეაშფოთა ქვეყნის საზოგადოებრიობა. რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხის გამო. ხანძრის მიზეზი იყო უწესივრობა სატურბინო დარბაზისათვის მაზუთის მიწოდების სისტემაში.

შვეიცარიაში სათვალავით მეორე მულენბერგის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა 1967 წელს დაიწყო და იგი მწყობრში უნდა ჩამდგარიყო მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ვაშინგტონი

ბაზები კვლავ რჩება

22 სექტემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ამერიკის სენატს განსახილველად და სარატიფიკაციოდ გაუგზავნა ამერიკა-იაპონიის შეთანხმება, რომლის შესაბამისად იაპონიის ადმინისტრაციულ კონტროლს დაექვემდებარება ოკინავა და მთელი რიგი სხვა კუნძულები.

თავის წერილში პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ამის შემდეგაც შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს კუნძულების სამხედრო ნაგებობანი. როგორც პრეზიდენტმა განმარტა, „ეს ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების განკარგულებაში კვლავ რჩება ოკინავის ბაზები“.

თეთრი სასლის წარმომადგენელმა ზიგლერმა პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ოკინავის გადაცემა არ ითვალისწინებს ამერიკის ჯარების რიცხვის შემცირებას კუნძულზე. მან უარი თქვა ეცნობებინა, ითვალისწინებს თუ არა შეთანხმება ამერიკის ატომური იარაღის გატანას ოკინავიდან. და ეს უარი იმით დასაბუთა, რომ ატომური იარაღის განლაგებისა და მეთანხმების საკითხი არასოდეს არ განუხილავთ საჯაროდ მთავრობის წარმომადგენლებს „საიდუმლოების დაცვის მიზნით“.

ვაშინგტონი

უმზადებენ სასჯელს

22 სექტემბერი. (საკდესი). „ვიცოდი რომ საპყრობილე მელოდა“, განაცხადა ყურნალ „ლუკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა დენიელ ელსბერგმა, რომელმაც ამერიკის პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა პენტაგონის საიდუმლო გამოკვლევის დოკუმენტები, რომლებშიც გაშუქებულია ინდოჩინეთის ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ აგრესიის გაჩაღების ისტორია.

მონაწილეობდა რა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ომის ესკალაციის გეგმების შემუშავებაში და თვითონვე იღებდა მონაწილეობას სამხრეთ ვიეტნამში „დამშმენების ოპერაციებში“, ელსბერგმა, როგორც ცადგებს ინტერვიუში, თანდათანობით გამოიტანა დასკვნა, რომ ეს ომი უსამართლო და უპერსპექტივოა.

თავდაპირველად იგი ცდილობდა დაერწმუნებინა მთავრობის წრეები, რომ საჭიროა ბოლო მოეღონ ომს. მაგრამ მალე გაიგო, რომ ამერიკის აგრესია ინდოჩინეთის ქვეყნებში „მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკაა, ქვეყნის ხუთი პრეზიდენტის პოლიტიკაა“. და მაშინ ელსბერგმა გადაწყვიტა გადაედგა გაბედული ნაბიჯი — გადასცა პრესის ხელიერთი ორგანო მის ხელთ არსებული დოკუმენტები.

ახალი მხილებით დამფრთხალმა ამერიკის ხელისუფლებმა დაიწყეს ელსბერგის სასამართლო დევნა, რომელსაც დაბრალეს სახელმწიფო მოსამართლე ბერნის გადაწყვეტილებისა, რომელიც კრძალავს ელსბერგის ქონების დათვალიერებას, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა გაჩხრეკეს შენობა, სადაც ინახებოდა მისი პირადი ნივთები. ჩხრეკა მოახდინეს იმის საფუძველზე, რომ ამ ნივთებში „შეიძლება იყოს“ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები. ჩხრეკის ორდერი საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით ჯერ კიდევ მაშინ გასცეს, ვიდრე საეპელაციო სასამართლო განიხილავდა მთავრობის მოთხოვნას ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

„აკახატა“ პეკინის გამოთიშული როლის შესახებ

ტოკიო. 21 სექტემბერი. (საკდესი.). იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „აკახატამ“ გამოაქვეყნა სტატია იაპონიის კომპარტიისა და იაპონიის დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთის ხელმძღვანელობის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ.

სტატიაში ნათქვამია, რომ პეკინის ხელმძღვანელობის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამას წინათ გაემგზავრნენ ანტიპარტიული ელემენტები, რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის მიზნად დაისახეს „მაო ძე-დუნის ბრძოლ მიბაძვა და იაპონიის კომპარტიისა და იაპონიის დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბოროტი ძირგამომთხრელი საქმიანობა“.

ანტიკომუნისტური პროჩინური ჯგუფების შექმნა იაპონიაში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, განუწყვეტლივ დაკავშირებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა დიდმპყრობელური ჩარევასთან იაპონიის რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის საშინაო საქმეებში ოა განპირობებულია ჩინეთის ხელმძღვანელობის ცდით იდეოლო დოკუმენტების „უკანონოდ დაუფლება“. ლოს-ანჯელესში (კალიფორნიის შტატი) გამალებით მიმდინარეობს მზადება ელსბერგის სასამართლო პროცესისათვის, რომელიც დანიშნულია 1972 წლის 4 იანვარს.

ეს-ეს არის ლოს-ანჯელესიდან მოვიდა ცნობა ამერიკის ხელისუფალთა აღმაშფოთებელი თვითნებობის შესახებ, მიუხედავად საიდუმლო დოკუმენტების „უკანონოდ დაუფლება“. ლოს-ანჯელესში (კალიფორნიის შტატი) გამალებით მიმდინარეობს მზადება ელსბერგის სასამართლო პროცესისათვის, რომელიც დანიშნულია 1972 წლის 4 იანვარს.

ეს-ეს არის ლოს-ანჯელესიდან მოვიდა ცნობა ამერიკის ხელისუფალთა აღმაშფოთებელი თვითნებობის შესახებ, მიუხედავად სასამართლო

ფოტოინფორმაცია



ვენეციაში

ამ ქალაქზე პოეტები ლექსებს წერენ. მუსიკოსები სიმღერებს ქმნიან. მხატვრებმა უამრავ სურათში აღბეჭდეს ვენეცია. ჯერ ერთხელაც რომ არ ყოფილა ვენეციაში, ადამიანი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ამ ქალაქს იცნობს, როგორც თავის მშობლიურს. სწორედ ამიტომ უწოდებენ ვენეციას პლანეტის ქალაქს. ამიტომ მისი ბედი აღელვებს ადამიანებს მთელ მსოფლიოში. ვენეცია ნელა იღუპება: დაბლა იწევენ კუნძულები, ტერმიტები ღრღნიან ხის ხიმინჯებს, რომლებზეც სახლებია დაყრდნობილი. ქალაქის მოდამოების ქარხანათა კვამლი ზღვის წყალში რომ ერევა, მუავად იქცევა და ულმობლად აზიანებს სასახლეთა და ეკლესიათა მარმარილოს სამკაულს. და მაინც მთელი მსოფლიოს ადამიანებს სჯერათ, რომ ვენეცია გადარჩება, იმიტომ რომ, როგორც გონდოლიერები მღერიან, „ეს სასწაული როდია, ზღაპარი როდია, ეს სილამაზის დღესასწაულია“.

სურათებზე: (ზემოთ მარცხნიდან) უგრიმო ვენეცია. ასეთ ქუჩაბანდებში სეირნობა ტურისტებს ძალიან როდი უყვართ. სამაგიეროდ აქ ცხოვრობს უბრალო ვენეციელთა უმრავლესობა; ტურისტები წმიდა მარკოზის მოედანზე; ნავსაყუდი დოჟების სასახლესთან (ქვემოთ).

ტექსტი და ფოტო ვ. ქაჯაიასი.

კოპენჰაგენი

არჩევნების შედეგები

22 სექტემბერი. (საკდესი). ბურჟუაზიული პარტიების მთავრობის კოალიციამ, რომელიც დანიის ხელისუფლებას სთავევნი უდგას 1968 წლიდან, გუშინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დაკარგა 10 მანდატი.

ამას მოწმობენ არჩევნების წინასწარი შედეგები, რომლებიც წუხელ გამოქვეყნდა.

მთლიანად მთავრობის კოალიციის პარტიებმა — რადიკალურმა მემარცხენე, მემარცხენე ლიბერალურმა და კონსერვატიულმა სახალხო პარტიებმა მიიღეს 88 მანდატი. მანამდე მათ 98 მანდატი ჰქონდათ.

ამავე დროს გაიზარდა პარლამენტის იმ ადგილების რიცხვი, რომლებიც უდიდეს ოპოზიციურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის. ახლა ამ პარტიას ეძლება დეპუტატის 70 ადგილი.

დღემდე მას 62 ადგილი ეკავა.

ოტოკინეტიკა

ელექტრული ბალეტი

22 სექტემბერი. (საკდესი). ოტოკინეტიკა — ეს ეს ... ელექტრული ... ბალეტ ... ...

რთველია, რთველი—ვაზის ქორწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღი

ჩემს გულს გაუხარია

ბრიგადირი ბ. ჯანიბეგაშვილი (მარჯვნივ) და მოწინავე მევენახე ვ. ჩალაბაშვილი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

გამიგია: ვაზი და ქართველი კაცი ერთად დაბადებულანო და მჯერა კიდეც. უვაზოდ და უვენახოდ ვერც წარმომიდგენია სიცოცხლე. მე კი არა, ყველა ასეა ჩვენს სოფელში. სამოცდახუთ წელს გადავაბიჯე და ერთი დღეც რომ არ წავიდე ვენახში, ის დღე დაკარგული მგონია. აკი ასეც არის ნათქვამი: ვენახი ისეთი რამეა, შეხვალ — შემოგყვება, გამოხვალ და გამოგყვებაო. ჩვენებური კაცი სხვის ვენახში რომ შევა, მაშინვე გაიგებს მისი პატრონის შნოსა და ხასიათს, ჩვევასა და გემოვნებას.

სიცოცხლე მემატება, როცა ვენახში თვალი შედის. დახუნძლულ ვაზებს რომ ვუყურებ, დაღლა მავიწყდება. წელს დიდი შრომა და ოფლი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ვენახი გვალვისაგან გადაგვერჩინა, გამოტანილი ნაყოფი შეგვენარჩუნებინა, და რაც ამას მივაღწიეთ, თითქოს დავისვენეთ. რთველია ჩემს სოფელში და ჩემს გულშიც. ჩემი მოვლილი ვენახიდან ჰექტარზე 70-75 ცენტნერ ყურძენს მივიღებ, გეგმა კი 48 ცენტნერს ითვალისწინებს. სიხარულის მიზეზიც სწორედ ეს არის.

ვ. ჩალაბაშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახე.

ყურძნის პირველი ტონები

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). მზიანმა ამინდმა დაარჩარა რთველის ადრე დადგომა. რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მასობრივად გაჩაღდა დაშაქრული ყურძნის კრეფა. მევენახეები პირობას იძლევიან სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ეს სამუშაო ოც დღეში დამთავრონრ.

რაიონში პირველ დღეებში მოიკრიფა და ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 1.036 ტონა ყურძენი. კარგი შედეგები აქვს სოფელ ჭიკანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას. აქ უკვე მოკრიფეს 127 ტონა და ახლა ყოველდღიურად 50-55 ტონა ყურძენი იკრიფება. დაძაბულად შრომობენ სოფელ შილდის კოლმეურნეობაში, სადაც 5 დღეში 104 ტონა ყურძენი მოკრიფეს.

ფართოდ გაუჩაღებიათ შეჯიბრება კრეფის მოკლე დროში დამთავრებისათვის ახალოფლის ღვინის სახელობის კოლმეურნეობაში, მოკრეფილია პირველი 98 ტონა ყურძენი. მასობრივად შეუდგნენ რთველს ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ მოკრიფეს 112 ტონა, ხოლო ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობაში — 114 ტონა.

ყურძნის შაქრიანობა ყველგან მაღალია—20-22 პროცენტს აჭარბებს. 21 სექტემბერს რაიონში მოკრიფეს 300 ტონა ყურძენი, ხოლო 22 სექტემბერს — 500 ტონა.

რაიონში ხუთი ღვინის ქარხანაა და ყველა მზად არის. პირველი ტონები გადაამუშავეს ქინძმარაულის, ახალოფლის, შილდის, ენისლის და ყვარლის ღვინის ქარხნებმა.

ზეგეგმითი პროდუქცია

ახმეტა. (საკ. კორ.). ღვინის ქარხნის კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავს. 8 თვეში ქარხანამ გამოუშვა 7.536 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმით გათვალისწინებულს 512 ათასი მანეთით აღემატება. ამავე პერიოდში ნავარაუდევი 6.279 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 6.913 მანეთის პროდუქცია, რაც გათვალისწინებულზე 634 ათასი მანეთით მეტია, ხოლო მოგების გეგმა 100 ათასი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა.

ქარხნის მეღვინეები და მუშები ჩაეგნენ წინასოციალისტურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყველა ღონისძიებით იბრძვიან რთველის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მზად არიან შეუფერხებლად მიიღონ და გადაამუშაონ 18 ათასი ტონა ყურძენი.



შეჯიბრება გაჩაღდა

საბარეთო. („კომუნისტის“ კორ.). შემოდგომა ძალაში შევიდა. დაიწყო ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. ეს არის მევენახეთა ნაამაგარის — ყურძნის მოსავლის დროულად აღება და გადამუშავება. საგარეჯოელთა ზვრებში რიგრაჟიდან გვიან დამეშდე არ წყდება თავდადებული შრომა. ორი დღეა, რაც რთველი დაიწყო, პირველი 475 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ჩაბარდა ღვინის ქარხნებს.

დიდი გამოცოცხლებაა მანავის საბჭოთა მეურნეობაში. ასობით ჰექტარზე გადაჭიმულა ვენახის ფართობები, მოდის მანავური დამაქრული ყურძენი, ღვინო. ასევე დიდი შრომითი ენთუზიაზმი სუფევს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ზვრებში. ყველა მონდომებით მუშაობს. ორ დღეში 82 ტონა ყურძენი მოიკრიფა.

რთველის დაწყების მაუწყებელი შრომითი სიხარული დაუფლებია კაკაბეთის კოლმეურნეობების მშრომელებს. კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ 54 ტონა ყურძენი მოკრიფა. მათ როდი ჩამორჩებიან ყანდაურელები. ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებმა პირველ დღეს 48 ტონა ყურძენი მოკრიფეს. რაიონში დღეში იკრიფება 300-400 ტონა. მაგრამ ხუთიოდე დღის შემდეგ რთველი მასობრივად გაჩაღდება და დღიური ნაკრეფი 600 ტონას გადაამეტებს.

რთველს მზად შეხვდნენ და შეუფერხებლად მუშაობენ საგარეჯოს, მანავის, ბადიაურის, ხაშნის ღვინის ქარხნები. მანაველმა მევენახეებმა გეგმით სამშობლოს უნდა მისცენ 3.500 ტონა ყურძენი. ისინი 4.010 ტონას გვპირდებიან. რაიონის მევენახეებს გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიჰყიდონ 14.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.500 ტონისა.

თელაველთა გვრებში

რთველმა შეიმოგიჯა თელავის რაიონშიც. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ყურძნის კრეფა. ზვრებში პირველნი გავიდნენ კონდოლის, აკურის კოლმეურნეობების, ნაფარეულისა და წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

მიუხედავად ამინდის მძიმე პირობებისა, მშრომელი კაცის მარჯვენამ იმძლაურა, ბუნების სტიქიაზე გაიმარჯვა. რთველი ახალი დაწყებულია, მაგრამ უკვე ნათლად ჩანს მევენახეთა თავდადებული შრომის ნაყოფი. სოფელ კონდოლის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თ. ახალმოსულიშვილი) ნაკვეთებში, სადაც ყურძნის კრეფა დაიწყო, მოსავალი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ჰექტარზე 4-5 ცენტნერით მეტია. ბრიგადა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვლ. გერგიშვილი ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 70-75 ცენტნერ ყურძენს იღებს, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებში 100 ცენტნერს აღწევს.

ამ ბრიგადის წევრები მ. მეგრელიშვილი, ქ. ოთალიშვილი, რ. თაზიაშვილი, თ. უთალიშვილი და სხვები ყოველდღიურად ნორმით დაწესებული 250 კილოგრამის ნაცვლად 600-700 კილოგრამს ყურძენს კრეფენ. მტვირთავები ვ. უთალიშვილი და მ. შაქარაშვილი სწრაფად ავსებენ ავტომანქანის ძარას, ხოლო მძღოლი შ. მიქაძე წუთის დაუკარგავად აბარებს ყურძენს ღვინის ქარხანას.

კონდოლელი კოლმეურნეები ამინდს ეშურებიან, ცდილობენ მოკლე დროში დაამთავრონრ რთველი და სახელმწიფოს 350-400 ტონა ზეგეგმითი ყურძენი მიჰყიდონ.

800-ზე მეტი მუშა ტრიალებს ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში. რთველი საფერავის კრეფით დაიწყო. ამ ჯიშის ყურძნის კრეფა შედარებით ძნელია, მაგრამ ნ. ხუციშვილი, ე. ახალაციშვილი, ნ. დავითელაშვილი, ა. ბაინდუროვი, მ. მარკოზაშვილი და ბევრი სხვა დღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებს.

საბჭოთა მეურნეობამ წელს 1.142 ჰექტარზე უნდა აიღოს მოსავალი, გეგმით 5.700 ტონა ყურძენი უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, მაგრამ საფარეულელ მევენახეთა ნელობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეაქო: ქალია, მაგრამ ვაქებს ცეცხლს აყრის, უსაქმოდ ვერ დაეხსვენებიანო. კარგი მოსავალიც ხომ კარგმა შრომამ იცის. მისი ბრიგადის წევრები თამაზ ქავთარაძე, ნოდარ კობაიძე, ეთერ ხორხალოი და სხვები, რომლებმაც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ვენახს მიაშურეს, ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

ამ სოფელშიც, რომ იტყვიან, ქვდზე ქაცია გამოსული, ამინდს ეშურებიან, დღეში 50-60 ტონა ყურძენს კრეფენ.

ქვემოქედის კოლმეურნეობაში წამყვანი დარგია მეცხოველეობა, მაგრამ აქაც შეუყვარებიათ ვაზი. და განა საქმეს თვითონ არ უჩვენა! ვაზმა დიდად წამოსწია წინ კოლმეურნეობის ეკონომიკა. თვითეული მევენახე წელიწადში ორსამ ათას მანეთ ანაზღაურებას იღებს.

ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელს იოსებ ჯღუთაშვილს მაშინ შევესწარით, როცა გაცხარებული ესაუბრებოდა მძღოლებს — დღეში ორ გზას მაინც თუ არ მოასწრებთ, ისე არაფერი გამოგვივაო.

ჩვენთან საუბარში ამ გამოცდილმა მეურნემ განაცხადა:

— მოსავლის მოყვანა ისე არ გვეჭირს, როგორც მისი ჩაბარება. ჩვენ მარანს დამთავრება არ ეღირსა, წითელწყაროს მარანში კი რიგია. მძღოლები თითო გზას ძლივს ასწრებენ, მუშახელი გვიცდება.

— მართლაც რომ არაფერი ეშველა, მეხუთე წელია შენდება და ჯერაც ბოლო არ უჩანს — წყნინთ ჩაილაპარაკეს იქ მდგომმა კოლმეურნეებმა. მათი წყნინა სამართლიანია.

დაინტერესდით. ადგილზე მივედით. სამუშაოთა მწარმოებელ ბ. ჩახნაშვილს ვესაუბრეთ. მან მშენებლობის შეფერხების ბევრი მიზეზი დასახელა.

ალბათ ამას დამკვეთი და მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები გაარკვევენ. მაგრამ, ერთი კი ცხადია — დრო აღარ ითმენს. ხუთი-ექვსი ათასი ტონა ყურძნის გადაზიდვა 80-90 კილომეტრზე არაფრით არ არის გამართლებული.

წელს ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ რაიონის სხვა კოლმეურნეობებიც. მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა 2.000 ტონაზე მეტ ყურძენს ჩაბარებს სახელმწიფო მარნებს.

მევენახეობა — ეს ახალი დარგი სულ უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. გეგმით გათვალისწინებული 10.000 ტონის ნაცვლად წელს სახელმწიფოს 12.800 ტონა ყურძენს მიჰყიდიან.

ვ. მჯედლიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ვ. ოლაძე.

ფოტო ვ. გენგიურისა.

ვაზმა იპოვნა სამშობლო

წითელწყაროს

საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, შირაქსა და შამთას შუა გაწოლილ დიდ ველზე — ზილიჩის ზამთრის საძოვრზე პირველად რომ გუთანი ეაბატრეს, თიხის ჭურჭლის, აგურისა და კრამიტის ნატეხები შეამჩნიეს. ეს იყო ორი ათეული წლის წინათ. მას შემდეგ კი ველი სოფლების ზემო ქედის, არხილოსკალოს და ქვემო ქედის კოლმეურნეობებმა მთლიანად დახნეს.

მაშინ უკვე ნათელი გახდა, რომ ოდესღაც ეს ყოფილა წინაპრთაგან მჭიდროდ დასახლებული ადგილი. იმ ადგილას, სადაც ახლა წყაროა, თიხის მილებისაგან დაქსელილი წყალსადენიც აღმოაჩინეს. ვინ იცის, იქნებ ეს ის დიდი ნაქალაქარია, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ვარაუდობდა ალაზნისა და იორის შუასართავთან, იქ სადაც შავწყალა ერთვის მდინარე ალაზანს. — ჰერეთის დიდი ქალაქის ხორანთის სახელწოდებით.

შავი მთა აღმოსავლეთით, ხოლო კორომები სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ზილიჩის ველს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადრე ეს მიდამოები მჭიდროდ დასახლებული ყოფილა.

მამა-პაპათა ნასახლკარალზე, რომელიც კარგა ხანია თუშ-ფშაველთა ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა, კვლავ განახლდა სიცოცხლე. ქართულმა ვაზმაც იპოვნა თავისი ადგილი. რკაწოთელმა ბორჯი გაიდგა და ისე დაიყარა მტევანი, რომ სოფლის მეხვეურებს აფიქრებინა, აქ ვენახი უფრო აჯობებსო. მალე მისი ფართობი ათას ჰექტარს მიაღწევს.

საამო სანახავია ახლა ეს ზვრები. მამაპაპური რთველია გაჩაღებული. საკვირველია, მთიულებს, ხევსურებსა და ფშაველებს ისე აუთვისებიათ ვენახის საქმე, რომ ყურძნით დახუნძლულ ვაზებს სარამოსაყენებლები ვეღარ ულებენ. ბევრ მევენახეს ჰექტარზე საშუალოდ 80-100 ცენტნერი ყურძენი მოჰყავს. ზემოქედელმა ვასო ქენქაძემ კი მოსავლიად მიმაგრებული 1 ჰექტარი ვენახიდან 100 ცეტხეური ყურძენი ჩააბარა კოლმეურნეობას. მას როდი ჩამორჩებიან 80 წელს მიღწეული მევენახეები შიოკედელაშვილი და ვასო ოღაძე, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ 80-90 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

ბარაქიანი რთველით ვახარებულია დიდი თუ პატარა. სოფელ ზემო ქედის თავკაცი, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე ვენახში სახეგბრწყინებული შემოგვეგება. რთველის ამბავი ვკითხეთ.

— რთველი წელში გავტეხეთ, 800 ტონაზე მეტი გავგზავნეთ მარნებში, ამდენსავე კიდევ მოველით, — თქვა და სიამაყით გადაჰყვა ზვრებს.

— 400 ჰექტარი რომ ჩადგება სრულ მსხმოიარობაში, რთველი მაშინ ნახეთ, — ჩაერია ლაპარაკში კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ნიკოლოზ ახალაშვილი.

იქვე, დიდ ფერდობზე შეფენილია სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის ზვრები. მათ ფართობმა უკვე 260 ჰექტარს მიაღწია. რთველის პარალელურად, მოსავლისაგან განთავისუფლებულ ფართობზე მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა, ახალშენი ვენახების შესამლა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ კობაიძემ პირველად მეკანიზატორები მოიხსენია. ამ ზვრებს რომ უყურებთ, სულ მაგათი ბიჭობაა.

ჰექტარზე საშუალოდ 60-70 ცენტნერ ყურძენს იღებენ იმ ბრიგადაში, რომელსაც ახალგაზრდა გოგონა მარინე ხორხალოი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეაქო: ქალია, მაგრამ ვაქებს ცეცხლს აყრის, უსაქმოდ ვერ დაეხსვენებიანო. კარგი მოსავალიც ხომ კარგმა შრომამ იცის. მისი ბრიგადის წევრები თამაზ ქავთარაძე, ნოდარ კობაიძე, ეთერ ხორხალოი და სხვები, რომლებმაც საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ვენახს მიაშურეს, ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

ამ სოფელშიც, რომ იტყვიან, ქვდზე ქაცია გამოსული, ამინდს ეშურებიან, დღეში 50-60 ტონა ყურძენს კრეფენ.

ქვემოქედის კოლმეურნეობაში წამყვანი დარგია მეცხოველეობა, მაგრამ აქაც შეუყვარებიათ ვაზი. და განა საქმეს თვითონ არ უჩვენა! ვაზმა დიდად წამოსწია წინ კოლმეურნეობის ეკონომიკა. თვითეული მევენახე წელიწადში ორსამ ათას მანეთ ანაზღაურებას იღებს.

ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელს იოსებ ჯღუთაშვილს მაშინ შევესწარით, როცა გაცხარებული ესაუბრებოდა მძღოლებს — დღეში ორ გზას მაინც თუ არ მოასწრებთ, ისე არაფერი გამოგვივაო.

ჩვენთან საუბარში ამ გამოცდილმა მეურნემ განაცხადა:

— მოსავლის მოყვანა ისე არ გვეჭირს, როგორც მისი ჩაბარება. ჩვენ მარანს დამთავრება არ ეღირსა, წითელწყაროს მარანში კი რიგია. მძღოლები თითო გზას ძლივს ასწრებენ, მუშახელი გვიცდება.

— მართლაც რომ არაფერი ეშველა, მეხუთე წელია შენდება და ჯერაც ბოლო არ უჩანს — წყნინთ ჩაილაპარაკეს იქ მდგომმა კოლმეურნეებმა. მათი წყნინა სამართლიანია.

დაინტერესდით. ადგილზე მივედით. სამუშაოთა მწარმოებელ ბ. ჩახნაშვილს ვესაუბრეთ. მან მშენებლობის შეფერხების ბევრი მიზეზი დასახელა.

ალბათ ამას დამკვეთი და მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები გაარკვევენ. მაგრამ, ერთი კი ცხადია — დრო აღარ ითმენს. ხუთი-ექვსი ათასი ტონა ყურძნის გადაზიდვა 80-90 კილომეტრზე არაფრით არ არის გამართლებული.

წელს ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ რაიონის სხვა კოლმეურნეობებიც. მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა 2.000 ტონაზე მეტ ყურძენს ჩაბარებს სახელმწიფო მარნებს.

მევენახეობა — ეს ახალი დარგი სულ უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. გეგმით გათვალისწინებული 10.000 ტონის ნაცვლად წელს სახელმწიფოს 12.800 ტონა ყურძენს მიჰყიდიან.

ვ. მჯედლიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ვ. ოლაძე.

ფოტო ვ. გენგიურისა.

ასე დაიწყო

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რთველი გაჩაღდა. იკრიფება საფერავი, მწვანე, რქაწითელი. მშრომელი კაცის მთელი წლის ნაამაგარი სწრაფად აღება-დაბინავებას მოითხოვს და გურჯაანელები არც აყოვნებენ, დილაადრიან დიდი და პატარა ზვრებისაკენ მიეშურება, გვიან საღამომდე არ ცხრება დაუღალავი შრომა.

რთველის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ჩატარებისათვის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის 12 ბრიგადა ეცილება ერთმანეთს პირველობისათვის. შეჯიბრების ერთ-ერთი პირობა ის არის, თუ დილით ვინ შევა პირველი ვენახში და თვითეულ კაცზე რამდენ კილოგრამ ყურძენს მოკრეფენ. ჯერჯერობით ყველაზე წინ მიდიან შ. თათულაშვილის ბრიგადის წევრები.

ყურძნის კრეფაში დაწინაურდნენ აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირის მ. მეჭვეგრიშვილის, ა. შოშიაშვილისა და ზ. ჯავახიშვილის ბრიგადები. კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას და პროფორგანიზაციას დაწესებული აქვთ წამახალისებელი ჯილდოები — გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. ეს კი სოციალისტურ შეჯიბრებას უფრო შინაარსისა და ქმედითს ხდის.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მამისაშვილმა, — სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობასთან. პერიოდულად ვიკნობით ერთმანეთის საქმიანობას, აზრებს ვუზიარებთ, ვსაუბრობთ წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. ეს ხელს გვიწყობს საქმის უკეთ წარმართვაში. შარშან მათ გაიმარჯვეს, წელს კი, ვფიქრობთ, ჩვენ ვაჯობებთ... წელს 531 ჰექტარი მოსავლიანი ვენახიდან გეგმით 3.157 ტონა ყურძენი უნდა მივიღოთ, სოციალისტური ვალდებულებით. 3.300 ტონის მოყვანა გადავწყვიტეთ. ვფიქრობთ ამასაც გადავაჭარბოთ — მივიღოთ 4.000 ტონა.

მართლაც, რომ საამაყო და სასიხარულოა!

რთველში ყოველდღიურად 800-ზე მეტი კოლმეურნე გამოდის და დღეში 300 ტონაზე მეტი ყურძენი იგზავნება ღვინის ქარხანაში. კოლმეურნეობამ უკვე 1.700 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, კრეფა-ჩაბარების ტემპი კი სულ უფრო მატულობს.

ბარაქიანი შემოდგომა იგრძნობა შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. მაყაშვილი). განსაკუთრებით უხვი მოსავალი აქვს მეოთხე აგრეგანყოფილებას, რომელსაც ო. ზალკალიანი ხელმძღვანელობს. განყოფილებამ 190 ჰექტარი ვენახიდან გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღოს, მაგრამ მოსავალი 90 ცენტნერამდე აღწევს. ამავე განყოფილების მ. მარჩილაშვილის ბრიგადაში კი ჰექტარზე 95 ცენტნერ ყურძენს იღებენ. ამიტომ არის, რომ გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დააწესეს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისა და რთველის სწრაფი ტემპით წარმართვისათვის, სწორედ ამ ბრიგადაში ფრიალებს.

მეურნეობის ზვრებში ყოველდღიურად 900-მდე კაცი გამოდის და 250-300 ტონა ყურძენი იკრიფება. მკრეფავები შრომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ჯერჯერობით წინ არიან მკრეფავები ანა ჯაჭვაძე, თამარ ხაჭაპურიძე და თინა მაისურაძე, რომლებიც ნორმით დაწესებულ 300 კილოგრამის ნაცვლად 900 კილოგრამამდე ყურძენს კრეფენ.

რთველი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში, ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ბაკურციხისა და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ქართველ კოოპერატორთა სტუმრები

ქართველ კოოპერატორებთან სტუმრად არიან საფრანგეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მორის კუვრესელი და საფრანგეთის კოოპერაციული დაზღვევის საზოგადოების პრეზიდენტი მარსელ გასტალი. ისინი სსრ კავშირში ჩამოვიდნენ ცენტროსოიუზის მოწვევით. ვიზიტის მიზანია გაეცნონ საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას.

ჩამოსვლის დღეს, 22 სექტემბერს, ფრანგი კოოპერატორები მიიღეს საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირში. ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიძემ სტუმრებს გააცნო სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის სტრუქტურა, სამომხმარებლო კოოპერაციის როლი საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობების გაფართოებაში.

ფართოდდება ცენტრალური სავაჭრო ურთიერთობა. მას სავაჭრო კონტაქტები აქვს 42 ქვეყანასთან.

— თქვენი გამოცდილება, — თქვა მორის კუვრესელმა, — უეჭველად საინტერესოა.

მისმა კოლეგამ მარსელ გასტალმა აღნიშნა კოოპერაციული ვაჭრობის დიდი გავლენა რევანშიზმზე.

ნ. მუსხელიშვილის საიუბილეოდ

მაპეულიშვილები

ქართული უნივერსიტეტი ნ დაარსებამდე ბევრად ადრე ივანე ჯავახიშვილი მარტო იმას როდი ირკვევდა, რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში. თავის უნის წიგნში იგი დიდი გულისყურით ინიშნავდა და აგროვებდა ცნობებს სხვადასხვა ცენტრში გაფანტულ ქართველ მეცნიერთა შესახებ. ბუნებრივია, მას არ გამორჩენოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ნიკო მუსხელიშვილი, რომელმაც ამ სახელოვანი უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდამ გამოამეღვანა მეცნიერული კვლევის შესანიშნავი ნაწარი, იყო უკვე რამდენიმე შრომის ავტორი. ამ შრომათაგან ერთ-ერთი დაიბეჭდა აკადემიკოს ვ. სტეკლოვის რეკომენდაციით. ნ. მუსხელიშვილი სატატო ქალაქის უნივერსიტეტს გარდა ლექციებს კითხულობდა პეტროგრადის კიდევ ოთხ უმაღლეს სასწავლებელში. 1919 წლის დამლევს გერაცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი მას პროფესორად ირჩევს.

1917-1918 წლებში დაწერილ სხვადასხვა დოკუმენტებში ივანე ჯავახიშვილი ახასიათებდა ნიკო მუსხელიშვილს როგორც მექანიკის კათედრის მომავალ გამგეს. მამამ პირველმა შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ივანე ჯავახიშვილი დეტალურად იცნობდა ახალგაზრდა მათემატიკოსის წარმატებებს. ეს შეხვედრა კი გაცილებით გვიან მოხდა, 1920 წლის აგვისტოში, როცა შესანიშნავ მეცნიერულ გარემოში მყოფი დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდა, სახელგანთქმული მასწავლებლებისა და კოლეგების მიერ უკვე აღიარებული მკვლევარი (1920 წელს ნიკო მუსხელიშვილი წევრად მიიწვიეს ეგრეთ წოდებულ ატომურ კომისიაში, რომლის თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი დ. ს. როჟდესტვენსკი, ხოლო წევრები — აკადემიკოსები ა. ნ. კრილოვი, ა. თ. იოფე, ო. დ. ხვოლსონი და სხვ.) ტოვებს პეტროგრადს და სამშობლოს სიყვარულის კარნახით მოდის ახალფეხადგმულ ქართულ უნივერსიტეტში, სადაც ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო.

ნათელი ღიმილით ხვდება ივანე ჯავახიშვილი ნიკო მუსხელიშვილს, დიდად უწონებს მას სამშობლოში დაბრუნებას. ნიკო მუსხელიშვილი აღფრთოვანებულია ამ მიღებით, უნივერსიტეტის რექტორმა რომ მოიწყო. ახლა მას რეალურად ესახება ეროვნული ნიადაგზე ნიჭიერ ახალგაზრდა მათემატიკოსთა გამოვლინებისა და დაწინაურების დიდი პერსპექტივა.

ი. ჯავახიშვილის რჩევითა და დახმარებით ნ. მუსხელიშვილმა სულ მალე კი არა თუ ქართულად დაიწყო ლექციების კითხვა, არამედ ინტენსიურად ჩაება მათემატიკური, ფიზიკური და ეკონომიკური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში.

ფასდაუდებელია ნ. მუსხელიშვილის პირადი წვლილი ამ ტერმინოლოგიის შექმნაში, რაც ი. ჯავახიშვილის განსაკუთრებულ მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებდა. საქმე ის არის, რომ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა ეროვნული სკოლის არსებობის აუცილებელი პირობა იყო. სხვანაირად საფუძველი ეცლებოდა მშობლიურ ენაზე რომ ეწარმოებინა ფასეულ მეცნიერული კვლევა. ამ ამოცანის ერთ-ერთ ინიციატორ, ორგანიზატორ, ფანატიკოსად ერიცხებოდა ნ. მუსხელიშვილი. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს ეჩვენებოდა ფანტაზიად, ოცნებად, ეგზალტაციად. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს ეჩვენებოდა ფანტაზიად, ოცნებად, ეგზალტაციად. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს ეჩვენებოდა ფანტაზიად, ოცნებად, ეგზალტაციად.

ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მუსხელიშვილი

◆

გორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის შემდგომ არსებობას.

1924 წელს ივანე ჯავახიშვილი როგორც საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე მოხსენებითს ბარათში საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატისადმი სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ წერდა, რომ „დასამტკიცებლად წარმოდგენილი სამათემატიკო ტერმინოლოგია ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია“, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლის მათემატიკური ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის შედგა კომისია, რომლის აქტიური წევრი იყო პროფესორი ნ. მუსხელიშვილი და რომლის შემადგენლობაში პროფესორ ა. რაზმაძის, დოცენტების ა. ხარაძისა და გ. ნიკოლაძის გარდა მონაწილეობდნენ პროფესორები გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე. ამასთან ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „თუმცა ამ კომისიამ სრულ თანხმობას ვერ მიაღწია, მაგრამ ტერმინოლოგია მაინც შემუშავებულ იქნა და სამეცნიერო საბჭოში შემოვიდა განსახილველად და დასადასტურებლად. სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის კომისიის წევრების თანადასწრებით განიხილა უმაღლეს-უმდაბლეს მათემატიკის მთელი ტერმინოლოგია და 40 სხდომამდე მოანდომა ამ რთულ საქმეს“.

ივანე ჯავახიშვილი იწონებდა მათემატიკის სატერმინოლოგიო კომისიის მუშაობის პრინციპებს, ამასთან საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე აყენებდა სამათემატიკო ტერმინოლოგიის დაუყოვნებლივ დამტკიცების საკითხს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ვთხოვთ იგი სასწრაფოდ დამტკიცოთ საყოველთაოდ სავალდებულო სახმარებლად, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მაინც მოიღოს ბოლო ამ არეულობასა და შეუთანხმებლობას, რომელიც ტერმინოლოგიის მხრივ გამეფებულია საქართველოს სასწავლებლებში. თუ ამას დაუყოვნებლივ ბოლო არ მოეღო, მთელი ჩვენი კულტურული აღორძინების საქმე უკიდურეს განსაცდელში ჩავარდება“.

ცნობილია, რომ 1925 წელს პროფესორმა ნ. მუსხელიშვილმა, დოცენტებმა გ. ნიკოლაძემ და ა. ხარაძემ წიგნად გამოაქვეყნეს „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. წმინდა, გამოყენებითი მათემატიკა თეორიული მექანიკით“. ლექსიკონი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებაში. მისი ავტორები მეცნიერების უახლესი მიღწევების ტერმინოლოგიასაც ქმნიდნენ. ამ ლექსიკონის წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართული ენის ბუნების კარგად ცოდნასთან ერთად, გარდა რუსული ენისა, ავტორები იყენებდნენ ფრანგ

ДОДЕС ЩВЕНИ РЕСПУБЛИКИС РАЙОНЕБШИ

ზუგდიდი



გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

გ. ნოდია

● მეურნალობენ ცაიშში ● ბედნიერების ტყეპარკი ● ახალი სკოლები ● სამშობლოსათვის თავდადებულთა უკვდავყოფა

□ **რესპუბლიკის** ცნობილ და აღიარებულ კურორტებს შორის იხსენიებენ ცაიშს. კურორტმა ლამაზი ადგილმდებარეობით და ძვირფასი სამკურნალო წყლებით შორს გაითქვა სახელი. აქ მკურნალობენ გულ-სისხლძარღვთა, გინეკოლოგიურ, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, რევმატიზმის, ტრავმულ და სახსრების სხვა დაავადებებს.

წელს კურორტ ცაიშში დაისვენეს და ჯანმთელობა გაიკაჟეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა, ომსკელმა, ნოვოსიბირსკელმა, ცელინოგრადელმა, მინსკელმა, ვოლგოგრადელმა მშრომელებმა. წლიურად აქ 5 ათასამდე ავადმყოფი მკურნალობს. მათ გულთბილად ხვდება კურორტის მედპერსონალი.

□ **რუხი ზუგდიდის** რაიონის ერთ-ერთი დიდი და ლენინური სოფელია. სამეცნიერო სკოლა ბაკაკეთს აკაურმა კოლმეურნეობამ. ხუთი წლის წინათ 5,5 ჰექტარზე გაშენეს ტყეპარკი, რომელსაც გვდნიერების ტყეპარკი უწოდეს. აქ დარგეს ასამდე სახეობის 18 ათასი ძირი მცენარე და ბუჩქი.

ტყეპარკს აქვს შინამოუსვლელთა, კომკავშირული და კოსმონავტების ხეივნები.

□ **შესანიშნავი** საჩუქარი მიიღეს ანაკლიელმა მოსწავლეებმა. ზავი ზოვის პირას სოფლის მერძეველობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობამ ააშენა სამსართულიანი სკოლის შენობა 485 მოსწავლისათვის. თვალს ახარებს ნათელი საკლასო ოთახები, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სახელოსნო, საკრძო და სპორტული დარბაზები.

პირველ სექტემბერს პირველად ზარი დაირეკა აგრეთვე ინგირისა და რიყის საშუალო და ჯუმის რვაწლიან სკოლებში, ყველა სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა.

□ **დიდ** სამამულო ომში დაცემულთა უკვდავსაყოფად თითქმის ყველა სოფელშია აღმართული შინმოუსვლელთა ობელისკი. მაგრამ ზუგდიდელები თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირებსაც როდი ივიწყებენ. 1855 წლის 25 ოქტომბერს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა თურქებთან. რუს, ქართველ, უკრაინელ და აფხაზ ხალხთა გმირობის ძეგლად სოფელ კოცში თავის დროზე მაღლიერ ხალხს აღუმართავს ობელისკი, რომელიც დავიწყებას იყო მიცემული. გაზეთ „მებრძოლის“ ინიციატივით რაიონის ახალგაზრდობამ და მშრომელებმა ობელისკს რესტავრაცია გაუკეთეს, ნალიმაზე (ნამარ ადგილზე) სამშობლოსათვის თავდადებულთა პარკი გაშენეს. ხეივნებს შორის რაიონის საწარმოო საგზაო უბანმა ასფალტი დაადო. პარკის ცენტრში გამოჭყვეთ წყაროს წყალი და აშენებენ შადრევანს. ობელისკის გარშემო აწყობენ ყვავილნარს.

• • •

სურათზე: სოფელ ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ფოტო ბ. ყუშუნიასი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალი „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო გაზეთების დირექტორები საქართველოში

სურათზე: საქართველოში სტუმრად მყოფი საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო გაზეთების დირექტორთა ჯგუფი თბილისის ერთ-ერთი რაიონის დათვალიერებისას.

ფოტო ი. მღებრიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

საქართველოში სტუმრად იყო საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო გაზეთების დირექტორთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში საპასუხო ვიზიტად ჩამოვიდა. დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო პრესის სინდიკატის ვიცე-პრეზიდენტი კლოდ ლავიეი.

საქართველოში ჩამოსვლამდე საფრანგეთის გაზეთების თხუთმეტი დირექტორი იყო მოსკოვსა და კრასნოდარის მხარეში. ჩვენი რესპუბლიკის პირველი ქალაქი, რომელსაც სტუმრები გაეცნენ, სოხუმი იყო. აქ ფრანგმა სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, მაიმუნთსაშენში. შემდეგ გაემგზავრნენ გულრიფშის რაიონში, სადაც გაეცნენ საქართველოს ეთერზეთოვანი მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს — ბაბუშერის საბჭოთა მეურნეობა-ქარხანას, ეწვივნენ ამ ქარხნის მუშის კ. სიჭინავას ოჯახს.

მეორე დღეს სტუმრები ზუგდიდის რაიონში გაემგზავრნენ. აგრარული გაზეთების დირექტორები დიდი ინტერესით გაეცნენ ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს“ მუშაობას ინგირის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებას სოფელ ინგიროის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ზობის რაიონში სტუმრთა ყურადღება მიიპყრო ხეთის დაფნისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც კოლხეთის დაჭრობილ მიწებზე შეიქმნა.

21 სექტემბერს ფრანგი სტუმრები ეწვივნენ ქალაქ ქუთაისს, დათვალიერეს სრულიად საკავშირო მნიშვნელობის კურორტი წყალტუბო, შემდეგ განაგრძეს მოგზაურობა რესპუბლიკაში.

გორში გაზეთების დირექტორები ეწვივნენ ი. ბ. სტალინის მუზეუმს, საბრძოლო დიდების მუზეუმს, დათვალიერეს ქალაქი, დღის ბოლოს ესტუმრნენ ქართლის მეხილეობის ერთ-ერთ უდიდეს მეურნეობას — ქიწნისის საბჭოთა მეურნეობას.

გუშინ, 22 სექტემბერს, დილიდანვე ფრანგმა სტუმრებმა დაიწყეს საქართველოს დედაქალაქის ძველი და ახალი რაიონების გაცნობა, დათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი.

შუადღეზე სტუმრები ეწვივნენ საქარფველოს მებაღეობის, მეევნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა გ. ბერიძემ სტუმრებს გააცნო ამ სამეცნიერო დაწესებულების ისტორია და პერსპექტივები. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი პ. ქოლეტი სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სპეციფიკურ თავისებურებებზე. შემდეგ ფრანგული გაზეთების დირექტორებმა დათვალიერეს მევენახეობისა და მეღვინეობის მუზეუმი. აქვე მოეწყო ქართული ღვინოების დეგუსტაცია.

სტუმრებმა დათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის ისტორიული ძეგლები, საღამოს კი დაესწრნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

საღამოს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა დარბაზობა გამართა ფრანგული გაზეთების დირექტორთა პატივსაცემად.

დღეს საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო გაზეთების დირექტორთა ჯგუფი ლენინგრადს გაფრინდა. (საქდესი).

გასტროლები და შთაბეჭდილებანი

დიდი ორკესტრი — დიდი ხელოვნება

უხვია წლევანდელი საკონცერტო სეზონი. თბილისელები მართლაც რომ ბევრი საინტერესო კონცერტის მოწმენი გახდნენ.

ჩვენი მუსიკისმოყვარულნი მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ ცენტრალური ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დიდ სიმფონიურ ორკესტრს, ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს რსფსრ სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს **გენადი როჟდესტვენსკის** — დირიჟორს, რომლის დახვეწილმა ხელოვნებამ ესოდენ მოხიბლა მსმენელი.

ნიჭიერმა დირიჟორმა შესანიშნავად გადაგვიშალა ჩაიკოვსკის IV სიმფონიისათვის დამახასიათებელი ემოციურობა, ლირიკა და დრამატიზმი, მღერადი კანტილენა და მბიარული, სადღესასწაულო განწყობილება. დაუვიწყარია ორკესტრის მიერ პიეკატოთი შესრულებული სიმფონიის III ნაწილი.

ორკესტრმა მეტად საინტერესოდ შეასრულა დიდი ფრანგი კომპოზიტორის ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“, ანუ „ეპიზოდები არტისტის ცხოვრებიდან“. ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია, იგი მდიდარი ფანტასტიკური სურათებითა და მუსიკალური სახეებით გადმოგვცემს კომპოზიტორის განწყობილებას, ორკესტრმა გ. როჟდესტვენსკის ინტერპრეტაციით შესანიშნავად გვაგრძნობინა ავტორის სტილი, სიახლის ძიების ოსტატობა, ამ ქმნილების უაღრესად დიდი და ღრმა მხატვრული ღირსება.

კონცერტებზე შესრულდა აგრეთვე რახმანინოვისა და შოპენის პირველი საფორტეპიანო კონცერტები, სოლისტი — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვიქტორია პოსტნიკოვა.

კონცერტის შემდეგ ზოგიერთ მუსიკოსს ვთხოვეთ გაეზიარებინათ თავიანთი აზრი.

— ასეთ კოლექტივს იშვიათად შეხვდებით, შესანიშნავი ორკესტრია, დიდი ხელოვანია გ. როჟდესტვენსკი, — ამბობს პროფესორი ლ. დონაძე.

იგივე აზრი სხვადასხვაგვარად გამოთქვეს მუსიკისმცოდნეებმა, კომპოზიტორებმა, დირიჟორებმა და მათ შორის ვ. ფალიაშვილმა, ა. შავერზაშვილმა, ლ. კილაძემ. დამთავრდა დიდი ორკესტრის კონცერტები, იგი მარილაც დიდ მოვლენა იყო ჩვენი ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში.

ეთერ ლონდარიძე,
მუსიკისმცოდნე.

• • •

სურათზე: დირიჟორი გ. როჟდესტვენსკი.

ფოტო ა. ავეკასიძისა.

ეს მოხდა რუსთავში

დასტაქარმა სიცოცხლე გადაარჩინა

რუსთავი. (საკ. კორ.). ქირურგი რ. ჩაჩავა დიდი სამამულო ომის ფრონტიდან პირდაპირ რუსთავში მოვიდა და უკვე ორ ათეულ წელზე მეტია დგას მეტალურგების და ქიმიკოსების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

ამ რამდენიმე დღის წინათ ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს გულმკერდში დანით დაჭრილი მოქალაქე ტ. ორაგველიძე. გულის მუშაობა თითქმის შეჩერებული იყო, არ ისინჯებოდა არც მაჯა და არც სისხლის წნევა.

დასტაქარმა რ. ჩაჩავამ სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება: გაეხსნა გულმკერდის ღრუ, შედედებული სისხლისაგან გაესუფთავებინა გულის პერანგი და სასწრაფოდ ამოეკერა ჭრილობა.

ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, ავადმყოფს დაუბრუნდა სიცოცხლე.

ძველი გამარჯვება

22 სექტემბერი. მოსკოვი, ლუჟნიკი. შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე. სსრ კავშირი-ჩრდილოეთ ირლანდია.

თამაში გუნდებმა ფრთხილად, დაზვერვით დაიწყეს, მაგრამ უკვე მეათე წუთისათვის ორივე კართან გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა იყო. ჯერ ბესტმა დაიცილა, ხოლო შემდეგ კოლოტოვმა პირისპირ გამოსულ მეკარეს მოახვედრა ბურთი. ორმხრივი იერიშები ტაიმის ბოლომდე არ დამცხრალა. 43-ე წუთზე შვეიცელმა მსაჯმა უკვე დალბერგმა 11-მეტრიანი დანიშნა სტუმრების კარში. მუნტანის დარტყმა ზუსტი იყო—1:0.

მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. ორი უმნელესი ბურთი აიღო რუდაკოვმა.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — **რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნინოვი, ზიკოვი, ხურცილავა, კოლოტოვი, მუნტიანი, დოლმატოვი, ფედოტოვი, შევჩენკო (იუტოიანი), ევრიუჟინინი.**

ერევნის ბლიც-ტურნირზე

ერევანში ფინეთში ჰქონდა მცირე ტურნირს. 21 სექტემბერს მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთის ქალაქ ბიტომის „პოლონია“ და ერევნის „არარატი“. მატჩი მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0 და მესამე ადგილზე გავიდნენ. „არარატი“ მეოთხე ადგილზე დარჩა.

„პოლონია“ 1954 და 1962 წლებში პოლონეთის ჩემპიონი იყო. წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო ასპარეზზეც. მოუგია რაპანის თასი, გაიმარჯვა 1965 წელს აშშ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. წელს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მას რვა ქულით შუა ადგილი უჭირავს სატურნირო ცხრილში.

გუშინ რაზდანის სტადიონზე პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის „დინამო“ და რუმინეთის ქალაქ კლუჟის გუნდი „უნივერსიტა“.

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მე-20 წუთზე რუმინელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მუნტიანუმ თავით გაიტანა ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მთელ შეხვედრაში. თბილისელებმა მჭედლიშვილმა, ყიფიანმა, გ. მაჩაიძემ ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობანი.

თბილისის „დინამო“ თამაშობდა ასეთი შემადგენლობით — სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩიგაშვილი, გ. მაჩაიძე, გავაშელი (მჭედლიშვილი), მ. მაჩაიძე (ჭითაური), ყიფიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი.

ამრიგად სომხეთის სსრ სპორტკომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრიზი მოიპოვეს რუმინელმა ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზეა თბილისის „დინამო“, მესამეზე პოლონეთის „პოლონია“ (ბიტომი), მეოთხეზე — ერევნის „არარატი“. მ. მაჩაიძემ მიიღო საუკეთესო ნახევარმცველისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი, დ. ყიფიანმა, როგორც ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა.

გასულ სეზონში „უნივერსიტამ“ მე-11 ადგილი დაიკავა რუმინეთის ჩემპიონატში, ხოლო წელს ოთხი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა. ერევანში გუნდს არ ჰამოუყვანია წამყვანი მოთამაშეები — მეკარე შტეფანი, ნახევარმცველი ანკი და თავდამსხმელი ბარბუ.

ჭადრაკი

ოთხი ლიდერი

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის 5 ტურის შემდეგ გადადგებული პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა გათამაშების ცხრილში.

ორი პარტია დაამთავრა რ. ჯინჯიხაშვილმა. მან მოუგო კ. გრიგორიანს და წააგო ი. პლატონოვთან, ლ. პოლუგაევსკიმ მოუგო ა. კაპუნგუტს, ი. ბალაშოვმა— დ. ბრონშტეინს, ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ლეონ-ლ. შტეინი, მ. ტაიმანოვ-ვ. სავონი, ლ. შტეინ-ი. პლატონოვი და ლ. შამკოვიჩ-ნ. კროგიუსი. რ. ჯინჯიხაშვილის ორი პარტია — ნ. კროგიუსთან და ე. გელერთან ერლა დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ტურნირს ოთხი ლიდერი ჰყავს. 3,5 ქულა მოაგროვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა (რიგა), გროსმაისტერებმა ლ. შტეინმა, ი. პლატონოვმა (ორივე კიევიდან) და საერთაშორისო ოსტატმა ვ. სავონმა (ხარკოვი).

ჩემპიონატის დიბულების თანახმად გროსმაისტერის წოდება მიენიჭება იმ ოსტატს, რომელიც პირველ სამეულში მოხვდება, პირველ ექვსეულში გამოსულ ოსტატს გროსმაისტერის ბალი მიეკუთვნება.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს მორიგი, მეექვსე ტურია. აი ლიდერთა პარტიები: მ. ტალი (შავებით) ეთამაშება ნ. კროგიუსს, ი. პლატონოვი (თეთრებით) — ვ. სმისლოვს, ლ. შტეინი (შავებით) — კ. გრიგორიანს, ხოლო ვ. სავონი (შავებით) — ა. ლეონს. რ. ჯინჯიხაშვილი თეთრებით ეთამაშება ლ. შამკოვიჩს.

რეგბი — მშვილდოსნობა

ბრძოლა მწვავდება

კუთაისში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი რეგბიში. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-სპორტული ავიაციის სპორტსმენებმა ანგარიშით 20:0 დაამარცხეს თბილისის დინამოელები. „ფილის“ სპორტულმა კლუბმა გაიმარჯვა მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში — 11:0; ხოლო ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ მოუგო კიევის „დინამოს“ 16:0. ფრედ — 6:6 — ითამაშეს თბილისის „ლოკომოტივმა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა. შედგა აგრეთვე კიევის „დინამოსა“ და საავიაციო ინსტიტუტის გუნდების გამოტოვებული მატჩი. გაიმარჯვეს მოსკოველმა სტუდენტებმა 30:6.

რეკორდების ღვიმა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის პროფკავშირების მშვილდოსანთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა. ქალთა კოლექტივების ტურნირში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას ლვოველ ს. საღიეკოვთან ერთად იცავდნენ თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ასატუროვა და ქუთაისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქ. ლოსაბერიძე.

სწორედ ასატუროვამ და ლოსაბერიძემ გამოიჩინეს თავი ყველაზე მეტად: ოთხ ვარჯიშში მსოფლიო რეკორდებს გადამეტეს, სსრ კავშირის 7 და საქართველოს რამდენიმე რეკორდი დაამყარეს. 70 მეტრზე სროლაში ვარჯიშის ორჯერ შესრულებულ ჯამში ასატუროვამ 580 ქულა მოაგროვა, რაც პოლონელ მ. მანჩინსკას მსოფლიო რეკორდზე 6 ქულით უკეთესია. მანვე 30 მეტრიდან სროლაში 9 ქულით გადაამეტა ამერიკელ ე. მირიკის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს —649 ქულა და ერთი ქულით გაუჯახობესა უკრაინელ ნ. ლინსკაიას საკავშირო რეკორდი.

„მ-2“ ვარჯიშის პირად ჩათვლაში ასატუროვას შედეგი — 2400 ქულა, მსოფლიო ჩემპიონის ე. გაპჩენკოს მსოფლიო რეკორდს 20 ქულით სჯობია. ბოლოს სსრ კავშირის ქალთა ტროიმ „მ-2“ ვარჯიშში 6919 ქულა დააგროვა, რაც პოლონელთა მსოფლიო მიღწევაზე 12 ქულით უკეთესია.

ქალთა შორის საბოლოოდ („მ-2“ ვარჯიშში) გაიმარჯვა ასატუროვამ — 2400, მეორე ადგილზეა ლოსაბერიძე — 2365, მესამეზე — სალიუკი — 2154.

ვაკეებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — ჯ. სიდორსკი (სსრ კავშირი) — 2306, ს. არუშკოვსკი (პოლონეთი) — 2273, დ. ნორბაევი (სსრ კავშირი) — 2265 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მატჩი საბჭოთა კავშირის მშვილდოსნებმა მოიგეს.

დ. ვეფხვაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის დირექტორი

ზოთა გაბრიელის-ძე საანიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

23 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „ფრონტიდან ფრონტზე“, 12.05 — „მუსიკალური კალენდარი“ (ჩანაწერი), 12.50 — მხატვრული ფილმი „იყო საღამოც და იყო დილაც“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „სარეიოკა“, 19.30 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — „პოეტი სტუდიაში“ — ჯანსუღ ჩარკვიანი. 20.50 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“ (III სერია), 22.00 — სკკპ XXIV კრების საპასუხოდ — „დაუმარცხებელი შეჯიბრება“, 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების ჯარი“, 22.55 — კონცერტი. 23.25 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ჩანაწერი).

მეორე პროგრამით

18.15 — სკოლების დასახმარებლად: დეკორატიული ხატვა. 19.15 — სკოლების დასახმარებლად: „შრომითი სწავლება“ — „სასწავლო-საპროექტო ატელიერი“, 20.15 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია პოლიტეკონომიაში. 21.20 — საგელევიზიო ფილმი, 22.15 — მხატვრული ფილმი „ლეგენდა ლიბერიუსის წინააღმდეგ“.

24 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 —„პოეტი სტუდიაში“ (განმეორებით), 11.45 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეშმაკის სამხრეებით“ მე-2 სერია (ქართულ ენაზე), 13.30 — „მათთვის, ვინც ახლა ისვენებს“, 17.00 გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კინონარკვევი. 21.40 — „ხუთწლედი მოქმედებამი“, 22.05 — მხატვრული ფილმი „ექიმ აბსტის ექსპერიმენტი“, 23.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ჩანაწერი).

მეორე პროგრამით

18.15 — სკოლების დასახმარებლად: გადაცემა „თქვენი სახელმძღვანელოს ავტორი“, 19.45 — სკოლების დასახმარებლად: გადაცემა „რაბინდრანატ თაგორი — მხატვარი“, 19. 15 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, 20.20 —კინოპროგრამა, 21.20 — კონცერტი, 22.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდარბაზი“. მხატვრული ფილმი — „მე ფრანცისკეკ სკორინი“.

თეატრები

23 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მინდია (მე-20 აბონ. მე-3 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხსოვნა გულისა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცოლები და ქმრები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: კოლმეურნეობის წევრს, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეულია მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ენარჩუნება თუ არა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომელიც მას ჰქონდა კოლმეურნეობაში მუშაობის დროს?

ი. გვაზავა,
აბაშა.

პასუხი: კოლმეურნეობის მიერ დაწესებული ოდენობით საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება ენარჩუნებათ კოლმეურნეთა ოჯახებს (საკოლმეურნეო კომლებს) იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) ყველა წევრი შრომის უუნაროა მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო, ან თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი გაწვეულია ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში, ან არჩეულია არჩევითს თანამდებობაზე, ან დაიწყო სწავლა, ან თუ ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) შემადგენლობაში არიან არასრულწლოვანები. ყველა სხვა შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების საკითხს წყვეტს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

შეკითხვა: საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში დასაშვებია თუ არა მისი ოჯახის წევრების გამოსახლება?

ნ. პერტაია-ოგანოვა
თბილისი.

პასუხი: საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელსა და მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს — მეუღლეს, შვილებს, მშობლებსა და სხვა ნათესავებს თანაბარი უფლებები აქვთ საცხოვრებელ სადგომზე. დამქირავებლის ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომი დამქირავებლის უფლებით ეკუთვნის ოჯახის დანარჩენ წევრებს.

შეკითხვა: საკოლმეურნეო პენსიის დანიშვნის შემდეგ დავიწყე მუშაობა სხვა სამუშაოზე. ამასთან დაკავშირებით შემიწყვიტეს საკოლმეურნეო პენსიის მიღება. სწორია თუ არა ასეთი მოქმედება?

ვ. თვალაბეიშვილი,
ვანი.

პასუხი: კოლმეურნეობის წევრები პენსიას იღებენ სრული ოდენობით, მიუხედავად იმ შემოსავლისა, რასაც ისინი იღებენ კოლმეურნეობაში ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში მუშაობის შედეგად.

პენსიონერებს, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს სახელმწიფო საწარმოში, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში მუშად ან მოსამსახურედ, პენსია არ მიეცემათ.

შეკითხვა: ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დამთავრების შემდეგ ეკუთვნით თუ არა დამატებითი შვებულება?

ნ. დავითაშვილი,
ხაშური.

პასუხი: ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიღებული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უხელფასო შვებულებაც, ვიდრე ბავშვი ერთი წლისა გახდებოდეს.

შეკითხვა: კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი ჩამეთვლება თუ არა სახელმწიფო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო მუშაობის სტაჟში?

მ. ყორჩიაშვილი,
წითელწყარო.

პასუხი: სახელმწიფო პენსიის მიღებისათვის საჭირო მუშაობის სტაჟში კოლმეურნეობის წევრად მუშაობის პერიოდი არ ჩაითვლება.

შეკითხვა: იმ პირს, რომელიც უმართებულოდ იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და შემდეგ გამართლებული, რა ოდენობით ეკუთვნის განაცდური დროის ხელფასი?

დ. ჯანეზაშვილი.
გორი.

პასუხი: მოქალაქეს, რომელიც უმართებულოდ იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, ხოლო შემდეგ საქმის შწყვეტის გამო გამართლებული, უფლება აქვს მოითხოვოს განაცდური დროის ხელფასი, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა.

შეკითხვა: ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები სარგებლობენ თუ არა უფასო საქალაქო ტრანსპორტით?

ი. ბუხაიძე,
ქუთაისი.

პასუხი: პირებს, რომლებიც იღებენ საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს და რომელთაც პარტიული სტაჟი აქვთ არანაკლებ 30 წლისა, უფლება ეძლევათ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფასოდ ისარგებლონ ქალაქის ტრანსპორტით (ტრამვაით, ავტობუსით, ტროლეიბუსით, მეტროპოლიტენით) იმ მოწმობების მიხედვით, რომლებიც გაეცემა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ.

ასეთი უფლებით არ სარგებლობენ ის პირები, რომლებიც იღებენ ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს.

შეკითხვა: ჩემთან ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში შემიძლია თუ არა მისი ქონების მემკვიდრეობის წესით მიღება?

ბ. ჯინჯორია
ქ. ფოთი.

პასუხი: გარდაცვლილი მოქალაქის ქონების მემკვიდრეობის წესით მიღების უფლება აქვს იმ პირს, რომელიც მასთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ფაქტიური მეუღლე ასეთი უფლებით არ სარგებლობს. ფაქტიურ მეუღლეთა მიერ შეძენილი ქონება მათ შორის განაწილდება იმის გათვალისწინებით, თუ რა შრომა და სახსრები აქვს თვითეულს გაწეული.